

მარინე ჯაში
ილიას უნივერსიტეტის პროფესორი
marina_dshaschi@yahoo.com

პერსუასიული ტექსტის ტიპები საგაზეთო კომუნიკაციაში

Zusammenfassung

Der Text wird als höchste dynamische Kommunikationseinheit verstanden und als solcher als schriftliche Manifestation der sprachlich-kommunikativen Tätigkeit. Der Zeitungstext gilt als eine Art der schriftlichen Kommunikation. Der Zeitungskommentar und die Glosse gehören zu den meinungsbetont bewertenden persuasiven Textsorten, die sich durch sprachlich-strukturelle und inhaltliche Besonderheiten auszeichnen, wodurch sie sich von anderen Zeitungstexten unterscheiden. Kommentar interpretiert und bewertet aktuelle gesellschaftlich-politische Ereignisse. Mit Hilfe des schriftlichen Textes muss der Autor das Kommunikationsziel erreichen, und zwar er soll den Leser von der Korrektheit der Bewertung eines Ereignisses oder einer Tatsache überzeugen. Der Kommentar zeichnet sich aus: 1) durch typologisch relevante Kompositionsstruktur (Titel, Textkorps/ Einführung und Hauptteil/ und Schlußteil, d. h. Bewertungsteil ; 2) durch drei Inhaltsmerkmale: er soll : a) aktuelle gesellschaftlich-politisch relevante Themen erörtern; b) die Stellungnahme des Autors enthalten; c) die bewertende Funktion besitzen. Die Glosse als eine knappe Meinungsäußerung, ein Kurzkomentar kritischer Art hat folgende Hauptfunktionen: verspotten, tadeln, entlarven, erläutern. Sie kann sich sowohl mit den Problemen des gesellschaftlichen Lebens, als auch der großen Politik beschäftigen. Ein typisches Merkmal der Glosse ist die emotionale Einschätzung von Ereignissen oder Erscheinungen und im Gegensatz zur unpersönlichen Sachlichkeit des Kommentars ist sie betont subjektiv. Zum Erreichen dieses Zieles dominiert hier die sprachliche Diktion, die der meinungskungebenden Intention entspricht. Hinzu kommen als spezifische Sprachmittel der kommentierenden Texte : Metaphern, Hyperbeln, Anspielungen, Ironiesignale, rhetorische Figuren, emphatische Syntax, Fragesätze. Frequenz und Ausprägung der Merkmale hängen dabei entscheidend vom Thema, vom Zeitungskontext sowie von der Kommunikationsabsicht ab. Die kommentierenden Textsorten setzen vielmehr einen gewissen Kenntnisstand voraus und referieren selektiv und in Abhängigkeit von dem textspezifischen Persuasionsziel, d. h. Der explikativen Komponente liegt immer ein persuasiver Funktionsaspekt zugrunde.

თანამედროვე კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში ტექსტი განიხილება როგორც უმაღლესი რანგის დინამიური კომუნიკაციური ერთეული, რომლის საშუალებითაც ხორციელდება ენობრივი მოღვაწეობა. თანამედროვე ლინგვისტიკის დამსახურება მდგომარეობს იმაში, რომ იგი საკომუნიკაციო ფაქტორებს განიხილავს არა როგორც ცალკეულ ფაქტებს, არამედ როგორც მთლიან სისტემას, რომლის ბირთვია სამეტყველო მოღვაწეობის კონკრეტული ერთეული, ანუ სამეტყველო აქტი, რომელიც საფუძვლად უდევს კონკრეტულ ენობრივ ერთეულს, ტექსტის წარმოშობასა და ფუნქციონირებას. ტექსტი არის ადამიანის ენობრივ-კომუნიკაციური მოღვაწეობის წერილობითი გაცხადება, რითაც იგი მნიშვნელოვნად განსხვავდება ზეპირი გამონათქვამებისაგან. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ტექსტი არის წერილობით ფიქსირებულ-ენობრივი მოღვაწეობის შედეგი და როგორც ასეთი სტატიკურ მდგომარეობაში არსებული პროდუქტი (ფურცელაძე, 1998: 15). რადგანაც წერილობითი კომუნიკაცია აღსამიანური მოღვაწეობის უნივერსალური სფეროა და იგი ნიშანდობლივია ყველა ხალხისათვის, რომელთაც გაა-

ჩნიათ დამწერლობა, შესაბამისად ტექსტიც, როგორც წერილობითი კომუნიკაციის განხორციელების საშუალება და შედეგი, არის აგრეთვე უნივერსალური მოვლენა. საგაზეთო კომუნიკაცია საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი კომპონენტია. რადგანაც კომუნიკაცია ამ შემთხვევაში საგაზეთო ტექსტებით წარმოებს, იგი წარმოადგენს წერილობითი კომუნიკაციის სახეობას. გერმანული საგაზეთო ტექსტები ერთგვარი თავისებურებებით გამოირჩევა. ისინი სამ ძირითად ტექსტობრივ ჟანრს განეკუთვნება : 1) რეფერატული ხასიათის ტექსტობრივი ჟანრი: ა) საგაზეთო ცნობა, ინფორმაცია-Nachricht; ბ)კორესპონდენცია-Bericht; გ) დოკუმენტაცია- Dokumentation. 2) ინტერპრეტაციული ხასიათის ტექსტობრივი ჟანრი : ა) რეპორტაჟი, ნარკვევი-Reportage, ბ)ლიტერატურული ხასიათის დიდი საგაზეთო სტატია-Feature; გ) პორტრეტი-Porträt; დ) ინტერვიუ, დისკუსია-Interview, Diskussion; ე) წერილი-Brief; ვ) საგაზეთის კულტურული ნაწილი, ლიტერატურული დამატება-Feuilleton; ზ) ესეი-Essay; 3) კომენტარის ხასიათის ტექსტობრივი ჟანრი: ა) კომენტარი- Kommentar; ბ) მოწინავე სტატია, პოლიტიკური კომენტარი-Leitartikel; გ) გლოსე-სატირული ხასიათის მოკლე კომენტარი (Glosse); დ) გარკვეული ავტორის სპეციალური საგაზეთო სვეტი-Kolumne; ე) კრიტიკა, რეცენზია-Kritik, Rezension (Roloff, 1982: 12). ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს კომენტირებადი ტიპის ტექსტები, ანუ როგორც მათ სხვაგვარად უწოდებენ აზრის გამომხატველი პერსუასიული ტექსტის ტიპები საგაზეთო კომუნიკაციაში, ესენია: კომენტარი და გლოსე.

«კომენტარი» ლათინური სიტყვაა და ნიშნავს «გადააზრებას, თვალსაზრისის ახსნა-განმარტებას. ჟურნალისტიკაში «კომენტარი» არის საკუთარი აზრის გადმომცემი სტატია, სადაც ჟურნალისტი (კომენტატორი) ახდენს აქტუალური მოვლენების ან პოლიტიკური პროცესების ინტერპრეტაციას და შეფასებას (Meyers Lexikon, 1975: 89). მაშასადამე, კომენტარის ქვეშ იგულისხმება ტექსტის ისეთი ტიპი, რომელშიც კომენტატორი ინფორმაციის გამოყენებით საკუთარ პოზიციას გამოხატავს აქტუალური მოვლენების მიმართ. კომენტირებადი ტექსტების ამოცანა მდგომარეობს არა მარტო ფაქტის ან მოვლენის წარმოდგენაში, არამედ მათ შეფასებით კლასიფიკაციაში ტექსტის ავტორის მხრიდან. რაც შეეხება ტექსტის თემას, შეიძლება ითქვას, რომ თუ საგაზეთო ცნობის დროს ის მკითხველისათვის თანდათან ვითარდება, კომენტირებად ტექსტში ის პრაქტიკულად წინასწარ არის მოცემული და მეტად-დონიდან შემდგომ განხილვას საჭიროებს. საგაზეთო ცნობისა ან მოხსენებისაგან განსხვავებით კომენტარში არა გვაქვს დახურული ან სრულყოფილი ინფორმაციისაკენ სწრაფვა. კომენტარი უფრო მეტად გულისხმობს ინფორმაციის გარკვეულ დონეს და სელექციურად ახდენს ამ ინფორმაციის რეფერირებას ტექსტის სპეციფიკური პერსუასიული მიზნის შესაბამისად, ანუ

რეფერირებადი და კომენტირებადი გა-მონათქვამები ხშირად ერთმანეთშია აღრეული (Lüger, 1988: 83).

ინფორმაციების თანამიმდევრობა დროის დისტრიბუციაშიც აისახება: კომენტირებადი პასაჟები შეიცავენ უპირატესად აწმყო დროის (პრეზენტის) ფორმებს, რეფერირებად ნაწილში კი დომინირებს პრეტერიტები შესაბამისი პროსპექციული და რეტროსპექციული დროის ფორმებით (Weinrich, 1966: 85). ტექსტობრივი სპეციფიკით გამოირჩევა კომენტარის სათაურები. როგორც პრესიგნალები ისინი მიანიშნებენ შეფასებითი ელემენტების საშუალებით ტექსტის ინტენციაზე: Genschers Leisetreteri; Monsieur Sowohl-als-auch; der Machtkampf der Allmächtigen; Ruß auf der Welt-Lunge; Müde Ozonloch-Flicker; von der Traufe in den Regen.

კომენტარის ძირითად სტრუქტურულ სქემას თეორიულად შემდეგი აგებულება აქვს: 1) ფაქტის ან მოვლენის წარმოდგენა ან დასახელება; 2) პრობლემატურობა; 3) საკუთარი აზრის გამოთქმა; 4) პრობლემის გადაწყვეტა; 5) ქმედების განხორციელების მოთხოვნა. აქედან ობლიგატორულია 1 და 3 საფეხური, ანუ ფაქტის ან მოვლენის წარმოდგენა და საკუთარი აზრის გამოთქმა, ანუ შე-ფასება; ყველა დანარჩენი - ფაკულტატურია. პრაქტიკაში დამკვიდრდა კომენტირებადი ტექსტის სამ ნაწილად გაყოფა : 1. შესავალი; 2. შუა ნაწილი; 3. საბოლოო, დასკვნითი ნაწილი. ტექსტის შესავალი წარმოადგენს ან უშუალო მითითებას განსახილველ თემაზე. მაგალითად: Jahrelang ist vor dem Euro gewarnt worden. Dafür war fast jedes Argument recht: Mal wurde die enge Bindung der Bürger an die gute alte D-Mark beschworen, dann wiederum war von der mit Sicherheit zu erwartenden Schwäche des Euro die Rede. Jetzt kommt er, als ob das die normalste Sache der Welt wäre („Gute Vorbereitung“ aus der Zeitung „Die Welt), ან ის წარმოდგენილია ორიგინალური, დისტანციის შემქმნელი შენიშვნით ან ბანალური ფრაზის, ფრაზეოლოგიური გამოთქმის ვარიანტული ფორმით: Das Arbeitsplatz-Argument. Eher der Not gehorchend als dem eigenen Triebe, haben die etablierten Parteien die Programme und Wahlkampfaussagen aufputzen müssen (FR, 15.12. 1980).

შუა ნაწილში მოკლედ უნდა წარმოებდეს ფაქტების ანალიზი, გათვალისწინებულ უნდა იქნას არსებული პოზიციები, უნდა შეფასდეს საწინააღმდეგო არგუმენტები. კომენტატორი ახ-დენს მათ სრულ შეფასებას და მკვეთრად მოხაზავს თავის მოსაზრებას. შუა ნაწილის ბოლოში ყველაფერი უნდა იყოს ნათქვამი, გაშუქებული და შეფასებული. In manchen Städten herrschte bei der Ausgabe der Euro-Münzen Partystimmung, in anderen Landesteilen ging es eher still zu. Von Sorge und Beunruhigung war nirgends etwas zu spüren. Vielleicht hatte sich der eine oder andere mehr Aufre-gung bei der Euro-Einführung erwartet und ist nun enttäuscht. Dafür besteht freilich kein Grund. Die geschäftsmäßige Ruhe nicht nur in Deutschland zeigt, dass der Wechsl der Währung in

Europa doch gut vorbereitet worden ist und das es gelungen ist, die vielen offenen Fragen der Bürger weitgehend zu beantworten. Menschen haben eben doch ein pragmatisches und kein emotionales Verhältnis zu ihrem Geld. Sie wollen vor allem eine feste Währung. („Die Welt“, 16. 01. 2002). საბოლოო, დასკვნით ნაწილში მკითხველი იგებს, თუ რა დასკვნებს აკეთებს კომენტარის ავტორი. მისი აზრი სტიმულს აძლევს მკითხველს საკუთარი აზრის ჩამოყალიბებაში. მაგრამ ყოველთვის შესამჩნევია, რომ აზრი გამოთქმულია და ავტორის მხრიდან არის სურვილი დაარწმუნოს მკითხველი მოვლენის ან ფაქტის შეფასების სისწორეში. მაგალითად: Die Europäische Zentralbank hat in den vergangenen Jahren alles getan, um den Bürgern das Gefühl zu vermitteln, dass sie sich auf ihre Währung verlassen können. Dabei ist sie offensichtlich erfolgreich gewesen...Jetzt spricht vieles dafür, dass die letzten Sorgen gegenüber dem Euro bald verflogen sein werden. Die Chancen für eine neue Erfolgsgeschichte stehen gut. ტექსტის სათაური ან შესავალი და ტექსტის დასასრული ხშირად ქმნის კომპოზიციურ ერთიანობას. ამასთან ეს ჩარჩო ხშირად ცენტრალურ შეფასებით აქცენტს აღნიშნავს: Die Bahn verpaßt ihre Chance–Verpaßte Chancen (SZ, 18.12. 2001).

რადგან კომენტირება ნიშნავს არსებული რეალობის, მოვლენის განსაზღვრული მასშტაბით შეფასებას, აქ დომინირებს ენობრივი დიქცია, რომელიც შეესაბამება აზრის გამომხატველ ინტენ-ციას (Sandig, 1978: 157). ამას ემატება კომენტარისათვის სპეციფიკური ენობრივი საშუალებები: მეტაფორები, ჰიპერბოლა, სტილისტურად შეფერილი ლექსიკა, ირონიული სიგნალები, რიტორიკული ფიგურები, ემფატიური სინტაქსი, კითხვითი წინადადებები და ა.შ. ხშირია ყოფითი (სასაუბრო) ლექსიკის გამოყენების ფაქტები, მაგალითად: Schlappe (umg.), Wortgeklingel, faseln, Köpfe zusammenstecken, in Klausur gehen, horrende Profite einstreichen, ex-und-hopp (abwertend), Leisetreteri (abwertend). განსაკუთრებით ხშირია სტილისტურად შეფერილი ლექსიკის გამოყენება სათაურებში, სტილისტური ეფექტისათვის და მკითხველის ყურადღების მიქცევის მიზნით. Nutznießer der Krise, Wer zu spät kommt..., Wärmestube der Nation. ამგვარი ლექსიკა უხვადაა თვით კომენტარის ტექსტებში, მაგ.: Die deutsche Finanzpolitik wird von der EU-Kommission kritisch beäugt, Das Projekt eines Zusammenschlusses der RPR und der UDF zu einer großen Partei, das nach der ge-meinsamen Schlappe aufkam, ist schon wieder in den Schubladen verschwunden.

ამ ნიშნების სისშირე და ენობრივი გამოხატულება დამოკიდებულია თემაზე, საგაზეთო კონტექსტსა და ასევე საკომუნიკაციო ინტენციასზე (Lüger, 1983: 86). გლოსე კომენტარისაგან განსხვავებით მკვეთრ პოლემიკურ სტილს ავლენს. ავტორის პოზიცია ტექსტის ობიექტის მიმართ დისტანციურ-ირონიულია, არგუმენტაცია უფრო საინტერესოა, ვიდრე დარწმუნების ინტენციით გამსჭვალული. გლოსე იმისკენ კი არ ისწრაფვის, რომ განსხვავებული მოსაზრებების ფარგლებში განსაზღვრული პოზიცია როგორც კონსენსუსი დაასაბუთოს, რადგან ამგვარი კონსენსუსი უფრო მეტად

ნავარაუდევია. თემის გაშლა მიზნად ისახავს, უკვე მოცემული პოზიციის გაძლიერებას. მეორე წინაპირობა ეხება ტექსტის შინაარსს: აქ ნავარაუდევია წინარე ინფორმაციის მაღალი დონე, ასე რომ მოვლენების კულისებსიკითა მხარე სპეციალურ რეფერირებას არ საჭიროებს და ტექსტი შეიძლება კონცენტრირებული იყოს შერჩეულ თემატურ ასპექტზე. უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენთ გლოსეს ტექსტს:

Gourmet

Gestürzt werden, ins Exil vertrieben zu sein, gar zum Tode verurteilt und trotz all dieser Unbill seinen Humor zu behalten, das schafft wahrlich nicht jeder. Der Ex-Kaiser von Zentralafrika, seine Majestät Bokassa, kann's. Er setzte sich jetzt an die Schreibmaschine und tippte einen Brief an den französischen Außenminister. Einen Bittbrief. Die Republik Frankreich, so der Regent, möge sich doch bitteschön in der UNO für einen Untersuchungsausschuß einsetzen. Die Kommission solle die Umstände seines Sturzes sowie das jüngst ergangene Todesurteil einmal untersuchen. Der Briefeschreiber vergaß nicht hinzu-zufügen, er habe 23 Jahre lang treu dem französischen Militär gedient, und ihn verbänden „enge persönliche Beziehungen“ zu Giscard samt Familie. Es stimmt alles, was Bokassa da schreibt. Beim französischen Militär dürfte er eine glänzende Ausbildung genossen haben, auch rechtes Foltern will schließlich gelernt sein. Und was die „engen persönlichen Beziehungen“ zum französischen Staatsoberhaupt angeht, da bestehen keine Zweifel. Mit seinem „Freund und Bruder“ ging Giscard mehr als einmal zur Jagd, man tafelte gemeinsam und Majestät zeigte sich nicht knauserig, wenn, um kleine Präsente ging. Elefantenzähne, allerlei Silberzeug und schließlich Diamanten...Und für all das darf man wohl ein Dankeschön erwarten. Warum, die Frage darf erlaubt sein, soll Frankreich seine Schuld nicht in der UNO begleichen. Schließlich erfreut sich da auch der Herr Pol Pot aus Kambodscha westlichen Wohlwollens. Und im Vergleich zu dem ist Bokassa nun wirklich ein Waisenknabe. Denn was ist Menschenfleisch in Kühlschränken und Suppentöpfen gegenüber den Leichenbergen in Kambodscha? მოცემულ ტექსტში მკითხველმა უნდა იცოდეს ბოკასას პირადი ურთიერთობების შესახებ საფრანგეთის ყოფილ პრეზიდენტთან "ბრილიანტების აფიორის" ჩათვლით, ამიტომ მისთვის ბოლო წინადადებაში მოცემული მინიშნებები გასაგები უნდა იყოს (Menschenfleisch..., Leichenberge in Kambodscha). მხოლოდ ამ საფუძველზე შეიძლება მოხდეს კონფიდენციალური, მრავალი დეტალით გაჯერებული თემის გაშუქება. თვალშისაცემი სტილისტური საშუალება უეჭველად არის ირონიული სიგნალები. ავტორი თითქოსდა მკითხველის პრინციპიალური თანხმობის მოპოვებით ისეთ პოზიციას იკავებს, რომელიც ეწინააღმდეგება მკითხველის მოსალოდნელ პოზიციას, და მას გროტესკული თანამიმდევრობით განაგრცობს. ირონიამ შეიძლება გარკვეულ პირობებში პრობლემები წარმოქმნას გაგების თვალსაზრისით, მაგრამ კონტექსტი წესისამებრ ისეთი ერთმნიშვნელოვანია და უტრირება იმდენად თვალშისაცემია, რომ პრაქტიკულად მხედველობაში მიიღება მხოლოდ ირონიული და არა სიტყვასიტყვითი

ინტერპრეტაცია. ზოგადად ირონიული პასაჟები, კომენტარისაგან განსხვავებით, სადაც მათ მეორეხარისხოვანი ხასიათი აქვთ, გლოსეს ორგანულ მახასიათებლებს წარმოადგენენ. ისინი პრეზენტაციის ხერხის ნაწილია, სადაც საქმე გვაქვს როგორც პოლემიკურ-ირონიულ ეფექტთან, ასევე თემის ენობრივად ორიგინალურ გაშუქებასთან. ამიტომ აქ საკმაოდ დიდია პოეტიზმების, «თამამი» მეტაფორების და შედარებების, ციტატების ირონიული გამოყენების, მიმართვის სარკასტული ფორმების, ანდაზების და ბანალური ფრაზების ვარიაციების, სიტყვათა თამაშის წილი (Gourmet- Menschenfleisch in Kühlschranks und Suppentopf).

მოცემული ტექსტის 1 აბზაცში გვაქვს კატაფორა, რის შედეგადაც მეორე წინადადებაში ვიგებთ, რომ აქ ლაპარაკია ცენტრალური აფრიკის ყოფილ იმპერატორზე ბოკასაზე; გამოყენებულია ემ-ფატიური სინტაქსი: პასივის დასაწყისი გამოხატულია მიმღეობა 2-ით. ლექსიკურ ერთეულს seine Majestät უფრო სატირულ-სარკასტული ელფერი დაკრავს. ენობრივ დიქციაში საწყის წინადადებაში მოცემულ პრეზენტულ ფორმებს ცვლის მომღვენო წინადადებაში პრეტერიტი. ასევე გვაქვს ელიფსური წინადადება ტექსტის შუა ნაწილში: Er tippte einen Brief an den französischen Außenminister. Einen Bittbrief. ამავე ნაწილში გამოყენებულია კონიუნქტივები ბოკასას ირიბი ნათქვამის გადმოსაცემად. ტექსტში უხვადაა გამოყენებული კონტექსტუალური სინონიმები, მაგალითად: der Ex-Kaiser, seine Majestät, der Regent, der Briefschreiber. ირონიულ სიგნალს შეიცავს საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის უისკარ დე სტენის მხოლოდ სახელით მოხსენიება (Giscard). შემდეგ სტატიის ავტორი ასაბუთებს ბოკასას მიერ წერილში მოყვანილ ფაქტებს: 1) მან 23 წელი ერთეულად იმსახურა საფრანგეთის სამხედრო სამსახურში, სადაც კარგი განათლება მიიღო; 2) მას ახლო პირადი ურთიერთობა აკავშირებდა საფრანგეთის მაშინდელ სახელმწიფო მეთაურთან და მის ოჯახთან. ბრჭყალებში მოცემულია ფრაზა „mit seinem Freund und Bruder«, რაც იმას გულის- ხმობს, რომ ბოკასა უისკარს თვლის «თავის მეგობრად და ძმად» რადგან უისკარი მასთან ერთად სანადიროდ დადიოდა, ისინი ერთად სადილობდნენ; ამასთან ბოკასა მეტად ხელგაშლილი იყო საჩუქრების მირთმევის თვალსაზრისით, რომელთა შორის იყო: სპილოს კბილები, მრავალი ვერცხლუქი და ბოლოს ბრილიანტები... სამი წერტილი მიუთითებს იმაზე, რომ ყველა საჩუქარი არ არის დასახელებული. და ახლა ბოკასა ყველაფრისათვის მადლობის გამოხატვის მოლოდინშია. ბოლოს სტატიის ავტორი თავს უფლებას აძლევს დასვას შეკითხვა, თუ რატომ არ უნდა გადაუხადოს საფრანგეთმა ბოკასას ვალი გაეროში იმით, რომ სიტყვა შეაწიოს მისთვის საგამომძიებლო კომისიას, რომ განიხილოს მისი საკითხი. ავტორის აზრით, ბატონი პოლ პოტიც სარგებლობს დასავლეთის კეთილგანწყობით, და მასთან შედარებით, ასკენის ავტორი, ბოკასა უწყინარი ბაღლია (Waisenknabe). ბოლო წინადადებაში მოცემული

შეფასება სარკაზმის გამოხატვის აღმატებითი ხარისხისა სემანტიკური თვალსაზრისით :
Denn was ist Menschenfleisch in Kühlschrank und Suppentopf gegenüber den Leichenbergen in
Kambodscha? ამ რიტორიკული შეკითხვით მიღწეულია ირონიაც, გაკიცხვაც და ავტორის
ერთგვარი განაჩენიც დასავლეთის ქვეყნების მიმართ. მოცემულ ტექსტში გვაქვს კოჰეზიურ-
კოჰერენტული ბმულობა, რაც ნიშანდობლივია აზრის გამომხატველი პერსუასიული ტიპის,
კერძოდ გლოსეს ტექსტისათვის. ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ
გლოსე ითვლება საგაზეთო «პრეზენტაციის ურთულეს ფორმად» (La Roche, 1975: 162).

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1.Lüger Heinz Helmut (1983): Pressesprache, in: Germanistische Arbeitshefte n. 28, Tübingen.
- 2.Meyers Enzyklopädisches Lexikon (1975): Stichwort „Kommentar“, Bd.14, Bibliographisches Institut, Mannheim, Wien, Zürich.
3. ფურცველაძე ვიოლა (1998): ტექსტი როგორც ენობრივი მოღვაწეობის წერილობითი გაცხადება. სადოქტორო დისერტაცია, თბილისი.
- 4.Roloff Klaus Eckart (1982): Journalistische Textgattungen, München
- 5.La Roche Walter von (1975): Einführung in den praktischen Journalismus, München
- 6.Sandig Barbara (1978) : Stilistik, Berlin.
- 7.Weinrich Harald (1966): Tempusprobleme eines Leitartikels. In: Euphorion 60, Stuttgart.